

ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო ეროვნული
სტრატეგიის გავლენის შეფასება ანტიბიოტიკების რაციონალურ
გამოყენებასა და მოხმარების ზედამხედველობაზე საქართველოს
ჯანდაცვის დაწესებულებებში

ნათელა გაზდელიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის პოლიტიკისა და
მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ნოღაიძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათელა გაზდელიანი

თარიღი: 17.06.2024

აბსტრაქტი

ანტიმიკრობული რეზისტენტობა თანამედროვე მსოფლიოს ჯანდაცვის სექტორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელიც საფრთხეს უქმნის გლობალურ ჯანმრთელობას. მის საპასუხოდ არაერთი ქვეყანა ცდილობს შეიმუშაოს და განახორციელოს ეფექტური ეროვნული სტრატეგია, რაც აუცილებელია ანტიმიკრობული რეზისტენტობის შესამცირებლად. წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს შეაფასოს ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო ეროვნული სტრატეგიის (2017-2020 წწ) გავლენა ანტიბიოტიკების რაციონალურ გამოყენებასა და მოხმარების ზედამხედველობაზე საქართველოს ჯანდაცვის დაწესებულებებში.

კვლევის ამოცანები მოიცავს სამედიცინო დაწესებულებებში ანტიმიკრობული პრეპარატების გამოყენების ფორმალური დოკუმენტის არსებობისა და ანტიბიოტიკების გამოწერის პრაქტიკის შეფასებას, წარმოქმნილი ბარიერების იდენტიფიკაციას და საბოლოოდ, შეგროვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებას. კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო (2017-2020 წწ) ეროვნული სტრატეგიის განხორციელების შედეგად ჯანდაცვის დაწესებულებებში ანტიბიოტიკების რაციონალური გამოყენება და ანტიბიოტიკების მოხმარებაზე ზედამხედველობა გაუმჯობესდა.

კვლევის მიზნისა და ამოცანების გათვალისწინებით, კვლევაში გამოყენებულია ჯვარედინი კვლევის დიზაინი, მონაცემები შეგროვდა ანტიმიკრობული რეზისტენტობის CDC, The Core Elements of Hospital Antibiotic Stewardship Programs -ზე დაყრდნობით შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით, რომელიც აფასებს ანტიმიკრობული რეზისტენტობის ზედამხედველობის სისტემას, ანტიბიოტიკების გამოწერის პრაქტიკასა და მათი მონიტორინგის ძირითად ასპექტებს. კვლევა ჩატარდა თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე წინასწარ შერჩეულ კლინიკებში. არაალბათური შერჩევის საფუძველზე, სამიზნე რესპონდენტებს წარმოადგენდნენ კლინიკის მენეჯმენტისა და პაციენტის მკურნალობაზე პასუხისმგებელი პირები: კლინიკური მენეჯერი, ინფექციების

კონტროლის სპეციალისტი, ინტენსიური თერაპიის განყოფილების მმართველი, თერაპიული განყოფილების მმართველი, ქირურგიული პროფილის მმართველი.

კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ სამედიცინო დაწესებულებებს აქვთ ოფიციალური დოკუმენტი ანტიმიკრობული მედიკამენტების გამოყენების შესახებ, გარდა ამისა, დაწესებულებების უმრავლესობას ჰყავს ანტიმიკრობული მკურნალობის ზედამხედველობის გუნდი და ანტიმიკრობულ თერაპიის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი დანიშნულია მენეჯმენტის გუნდიდან. თუმცა, ასევე კვლევამ გამოავლინა, რომ ანტიმიკრობული ზედამხედველობის მაქსიმალური ეფექტურობის მისაღწევად, საჭიროა დამატებით მიზნობრივი ინტერვენციები.

ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო ეროვნული სტრატეგიის განხორციელება მნიშვნელოვანია ანტიმიკრობულ რეზისტენტობასთან ბრძოლაში. კვლევის ფარგლებში ანტიმიკრობული ზედამხედველობისა და ანტიბიოტიკების რაციონალურად გამოყენებაში არსებული ბარიერების იდენტიფიცირებით, კვლევა გვთავაზობს რეკომენდაციებს. არსებული შედეგები საუბრობს, მულტიდისციპლინური გუნდების და მონიტორინგის პრაქტიკის მნიშვნელოვან როლზე ანტიბიოტიკების რაციონალური გამოყენების გაუმჯობესებაში და ანტიმიკრობული რეზისტენტობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საძიებო სიტყვები: ანტიმიკრობული რეზისტენტობა, მონიტორინგი, ზედამხედველობა, ანტიბიოტიკი, მენეჯმენტი.

Abstract

Antimicrobial resistance is one of the most important challenges in the healthcare sector and threatens global health. In response, many countries are trying to develop and implement effective national strategies to reduce antimicrobial resistance. The presented study aims to evaluate the impact of the national strategy against antimicrobial resistance (2017–2020) on the rational use and surveillance of the consumption of antibiotics in healthcare institutions in Georgia.

The study's objectives include the assessment of the presence of formal documents on the use of antimicrobial drugs and antibiotic prescribing practices in the medical institution, identifying emerging barriers, and, finally, developing recommendations based on the analysis of the collected data to improve antimicrobial stewardship. According to the study's hypothesis, as a result of implementing the national strategy against antimicrobial resistance (2017–2020), the rational use of antibiotics in healthcare institutions and the surveillance of antibiotic consumption have improved.

Considering the aim and objectives of the study, the study used a cross-sectional design. Data were collected using a structured questionnaire developed based on CDC, The Core Elements of Hospital Antibiotic Stewardship Programs to assess key aspects of antimicrobial resistance policy, surveillance system, antibiotic prescribing practices, and their monitoring. The study was conducted in pre-selected clinics in Tbilisi and different regions of Georgia. Based on non-probability sampling, the target respondents were those responsible for clinic management and patient care: clinical manager, infection control specialist, intensive care unit lead, therapeutic unit lead, and surgical unit lead.

The survey showed that the interviewed medical institutions have a formal document on the use of antimicrobial medicines; in addition, the majority of institutions have an antimicrobial treatment supervision team; a person responsible for antimicrobial therapy is appointed from the management team; and medical institutions monitor antimicrobial treatment.

In the fight against antimicrobial resistance, the implementation of a national strategy against antimicrobial resistance is important. The study offers recommendations by identifying

barriers to antimicrobial stewardship and rational use of antibiotics within the framework of the study. The available results speak about the important role of multidisciplinary teams and monitoring practices in achieving improvements in the rational use of antibiotics and the fight against antimicrobial resistance.

Keywords: antimicrobial resistance, monitoring, surveillance, antibiotics, management